



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტოს  
გენერალური დირექტორი



KA990196005317617

№02/10

26 / სექტემბერი / 2017 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტისათვის  
კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის  
უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების,  
„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს  
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს  
შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ლი მუხლის „ა“  
ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტის მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტის მონაცემების კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპირის ქუჩა N4).

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე

№	ფოტო	დასახელება	სააღრიცხვო ბარათის №
1		<p>ვახტანგ ღამბაშიძის მიერ შედგენილი სანატორიუმ „პატარა ცემის“ შთაბეჭდილებათა ჩანაწერების წიგნი. მემორიალური, დოკუმენტური.</p> <p>ავტორთა ჯგუფი: (სხვადასხვა პირთა ჩანაწერები და ხელმოწერები)</p> <p>შექმნის დრო: 1904-1946 წწ.          მასალა, ზომა: ყდა-ტყავი, შიგთავსი - ქაღალდი;          22X15 სმ.</p> <p>ამჟამინდელი ადგილსამყოფელი:          დაცულია საქართველოში, ქ.თბილისში, ჯულიეტა გაბობესთან.</p>	N 003407